პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2011 წ. III კვარტალი (წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2011 წლის III კვარტალში 266 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 66 პროცენტით აღემატება 2010 წლის წინასწარ და 18 პროცენტით ამავე პერიოდის დაზუსტებულ მაჩვენებელს, ხოლო მიმდინარე წლის II კვარტალზე 31 პროცენტით მეტია. ამასთან, I-III კვარტლების ჯამური წინასწარი მონაცემები 49 პროცენტით აჭარბებს 2010 წლის შესაბამისი პერიოდის წინასწარ და 7 პროცენტით ამავე პერიოდის დაზუსტებულ მაჩვენებელს.

ცხრილი №1 ასახავს მოცემული მაჩვენებლის დინამიკას 2009-2011 წლებში.

ცხრილი №1
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2009-2011* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2009				2010				2011*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	114.0	177.2	173.2	194.0	166.5	208.3	225.6	214.1	173.7	203.4	266.0

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2009-2011* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

2011 წლის I-III კვარტალში საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ჯამურად 643 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო შვიდი უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნის წილმა - 79 პროცენტი. ქვეყნების მიხედვით პოზიციები ასე განაწილდა (ცხრილი №2):

ცხრილი №2

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2011* წლის I - III კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2010				2011*			
	I	II	III	I-III	I	II	III	I-III
სულ	**166.5**	**208.3**	**225.6**	**600.4**	**173.7**	**203.4**	**266.0**	**643.1**
მათ შორის:								
ნიდერლანდები	40.7	-9.3	20.3	**51.7**	25.1	19.6	89.9	**134.7**
დანია	0.0	0.1	-0.1	**0.0**	0.1	-0.2	99.8	**99.8**
კვიპროსი	-1.6	31.6	7.1	**37.1**	41.4	15.8	23.5	**80.8**
თურქეთი	33.3	12.6	24.7	**70.6**	13.9	22.0	32.0	**67.9**
საერთაშორისო ორგანიზაციები	3.0	12.4	18.6	**34.0**	8.7	22.9	11.3	**42.9**
აზერბაიჯანი	11.4	16.2	17.6	**45.2**	11.7	13.2	15.5	**40.4**
რუსეთი	5.6	19.4	17.3	**42.3**	19.8	10.2	9.3	**39.3**
გაერთიანებული სამეფო	9.1	23.7	12.4	**45.1**	28.7	4.0	4.9	**37.6**
ინდოეთი	0.0	0.1	5.8	**5.9**	7.5	14.5	4.1	**26.1**
ყაზახეთი	-14.0	-2.7	-2.0	**-18.7**	7.9	3.8	9.3	**21.0**
გერმანია	8.0	3.1	-0.1	**11.0**	5.6	7.4	6.7	**19.7**
ვირჯინის კ-ები (ბრიტ.)	-1.7	37.3	6.9	**42.5**	19.6	9.7	-15.4	**13.8**
ავსტრია	4.5	3.1	1.7	**9.3**	1.7	1.2	9.5	**12.4**
დანარჩენი ქვეყნები	68.3	60.6	95.3	**224.2**	-18.0	59.2	-34.4	**6.8**

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №2



* წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას 2011 წლის I-III კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა.

დიაგრამა №3

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2011* წლის I-III კვარტალში (%)



* წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოცემულია ცხრილში №3:

ცხრილი №3

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2010-2011* წწ. I-III კვ.

	2010				2011*			
	I	II	III	I-III	I	II	III	I-III
სულ	**166.5**	**208.3**	**225.6**	**600.4**	**173.7**	**203.4**	**266.0**	**643.1**
მათ შორის:								
მრეწველობა	55.7	91.5	42.1	**189.3**	82.8	29.5	28.2	**140.5**
საფინანსო სექტორი	10.4	26.0	53.2	**89.6**	39.8	34.3	49.5	**123.6**
ენერგეტიკა	16.0	-5.7	4.9	**15.3**	19.9	-26.9	86.1	**79.2**
უძრავი ქონება	15.7	39.6	52.6	**107.9**	7.0	49.0	21.5	**77.5**
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	15.0	33.6	38.5	**87.1**	1.8	56.0	16.5	**74.3**
მშენებლობა	3.1	-7.3	7.9	**3.7**	14.4	12.5	4.2	**31.2**
ჯანმრთელობის დაცვა	0.1	-0.2	0.0	**-0.2**	3.9	1.1	13.5	**18.5**
სასტუმროები და რესტორნები	22.7	-10.3	4.1	**16.5**	3.4	8.9	2.5	**14.7**
სოფლის მეურნეობა	3.3	2.9	0.8	**7.0**	1.6	1.9	5.7	**9.2**
დანარჩენი სექტორები	24.5	38.3	21.4	**84.2**	-1.0	37.1	38.3	**74.4**

* წინასწარი მონაცემები.

2011 წლის III კვარტალში ყველაზე მეტი ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 86 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011 წლის III კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №4.

დიაგრამა №4

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011* წლის III კვ. (%)



* წინასწარი მონაცემები.

უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლის კვარტალური მონაცემები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას წლიური სტატისტიკური გამოკვლევის მასალების დამუშავების შემდეგ.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.